№ 05/10
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
" 3 " თებერვალი 2010 წ.
№ 370010010352133002067

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №3

2010 წლის 28 იანვარი
დ. ხელვაჩაური

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18[1] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის 7[1] მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულების შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის" მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის რეკომენდაციის გათვალისწინებით დაბა ხელვაჩაურში ზონირება არ განხორციელდეს.

2. დადგინდეს დაბა ხელვაჩაურში მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი - K, რომლის ოდენობა უდრის 300-ს.

3. დადგინდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თანახმად დანართისა.

4. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 12 თებერვლის №2/2 დადგენილება.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: რევაზ მალაყმაძე

დანართი
დამტკიცებულია
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 28 იანვრის №3 დადგენილებით

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. დაბა ხელვაჩაურში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი") დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$ სადაც:

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;
ბ) I_{MG} არის დაბა ხელვაჩაურის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის - 1-ს (რადგან დაბა ხელვაჩაურში ზონირება არ ხორციელდება);
დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა 0,24 ლარის ტოლია;
ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 300-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ხელვაჩაურში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0,38	1	0,24	300	27,36

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ხელვაჩაურისათვის დადგენილი ფასის 40%-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 10.94 ლარს;

4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემავალი დაბა მახინჯაურისათვის მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ხელვაჩაურისათვის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 27.36 ლარს;

5. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში, მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ხელვაჩაურისათვის დადგენილი ფასის 54%-ის ოდენობით და იგი შეადგენს -14,77 ლარს.

6. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის №554 ბრძანებულებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (სენაკი-ფოთი-სარფი და ბათუმი (ანგისა) -ახალციხე) 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ხელვაჩაურისათვის დადგენილი ფასის 70 %-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 19.15 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-5 პუნქტით დადგენილი ფასი.

7. შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემავალ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში, მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ხელვაჩაურისათვის დადგენილი ფასის 360 %-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 98.50 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3- მე-6 პუნქტებით დადგენილი ფასები.